პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 1 აპრილი, 1989 წელი ● № 14 (3094) ● СУББОТА, 1 АПРЕЛЯ 1989 г.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

**29 მარტს** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეთერთმეტე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

დეპუტატებმა დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი.

სესიამ დააკმაყოფილა პ. გ. გილაშვილის თხოვნა და გაათავისუფლა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება აირჩიონ ო. ე. ჩერქეზია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ და გაათავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან. სესიამ დანიშნა ზ. ა. ჩხეიძე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ სესიამ დაამტკიცა ო. ვ. ქვილითაია და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

სესიამ დაამტკიცა შესაბამისი კანონები და დადგენილებები.

სიტყვა ითხოვა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, დეპუტატმა გ. გ. ჩოგოვაძემ. მან შეკითხვის წესით დასვა საკითხი აფხაზეთში მომხდარი უკანასკნელი ამბების თაობაზე, რომლებიც ძალზე აღელვებს სტუდენტობას, რესპუბლიკის მთელ საზოგადოებრიობას. ამავე საკითხს ეხებოდა დეპუტატთა წერილობითი მიმართვა სესიის პრეზიდიუმისადმი.

დეპუტატის მიერ შეკითხვის წესით დასმულ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

მოისმინეს რა ინფორმაცია, დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს მასში ჩამოყალიბებული შეფასებები და დასკვნები.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეთერთმეტე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

(საქინფორმი)

## В КОЛЛЕГИИ МВД ГССР

**27 МАРТА** состоялось очередное заседание коллегии МВД ГССР.

С информацией об утверждении вновь сформированного резерва кадров на выдвижение, в соответствии с требованиями приказа МВД СССР, на коллегии выступил заместитель начальника УК МВД ГССР майор милиции Р. Хубулия.

О состоянии борьбы с хищениями винно-водочных изделий в системе агропромышленного комплекса республики, о мерах по усилению борьбы с ними и дальнейшему улучшению деятельности ИВС в свете требований соответствующего приказа МВД СССР членов коллегии проинформировали начальник УБХСС МВД ГССР полковник милиции Б. Чантуришвили и начальник УООП МВД ГССР полковник внутренней службы Г. Бичашвили.

На заседании была также заслушана информация начальника УВО МВД ГССР полковника милиции Г. Кварелашвили о ходе выполнения Постановления Совета Министров СССР «О мерах по дальнейшему упорядочению охраны объектов народного хозяйства и оснащению их техническими средствами охраны».

## НА ОПЕРАТИВНОМ СОВЕЩАНИИ РУКОВОДЯЩЕГО СОСТАВА МВД ГССР

**27 МАРТА** состоялось оперативное совещание руководящего состава МВД ГССР, которое провел министр внутренних дел республики генерал - лейтенант внутренней службы Ш. Горгодзе.

О состоянии оперативной обстановки в республике за 26 дней и последнюю неделю марта 1989 года руководящих работников министерства проинформировал начальник оргинспекторского отдела МВД ГССР подполковник милиции К. Буджиашвили. Внимание руководства УУР (начальник — полковник Т. Варданашвили) и УООП (начальник — полковник внутренней службы Г. Бичашвили) обращено на наметившийся в марте месяце рост тяжких телесных повреждений, изнасилований, краж госимущества, угонов автотранспорта. Руководству данных управлений предложено принять меры по стабилизации обстановки на этом направлении.

Руководителям отраслевых служб министерства поручено улучшить контроль за исполнительской дисциплиной, с принятием конкретных мер, исключающих случаи волокиты, особенно по выполнению решений вышестоящих органов и руководства министерства.

На совещании заслушана и принята к сведению информация начальника отдела связи МВД ГССР полковника внутренней службы Е. Щербинина о порядке эксплуатации системы радиотелефонной связи «Алтай» нового поколения.

С информацией об итогах профилактических мероприятий по предупреждению нарушения соцзаконности сотрудниками органов и подразделений внутренних дел республики на оперативном совещании выступил заместитель начальника УК МВД ГССР подполковник внутренней службы А. Джаши. Решено по выявленным нарушениям правил эксплуатации автотранспорта и правил дорожного движения, совершенным сотрудниками милиции, направлять информацию в органы прокуратуры по месту их службы, продолжить проведение в дальнейшем указанных профилактических мероприятий.

### XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის კურსით

## ჯერი პრაქტიკულ გარდაქმნაზეა

**16-დან 23 მარტის** ჩათვლით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ბაზაზე მუშაობდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, უკვე ტრადიციად ქცეული სემინარი.

სემინარის გახსნის წინ მის მონაწილეებს შეხვდა და აღნიშნული ღონისძიების დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის დღევანდელ ეტაპზე ესაუბრა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი **ა. ანჯაფაძე.**

სემინარი გახსნა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ, მილიციის პოლკოვნიკმა **ლ. გორგოძემ.**

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ და ლექცია-საუბრებით გამოვიდნენ პარტიული, ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ჩატარებულ იქნა ლექციები თემებზე — XIX საკავშირო პარტკონფერენცია და მისი წვლილი საზოგადოების რევოლუციური განახლების, განვითარების თეორიასა და პრაქტიკაში; საკადრო პოლიტიკის აქტუალური პრობლემები; იდეოლოგიური მუშაობის ძირითადი მიმართულებანი საჯაროობისა და დემოკრატიის პირობებში; პირველადი პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შუქზე შინაგან საქმეთა ორგანოებში; საქართველოს სსრ-ში სისხლის სამართლის დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ; ეროვნებათშორის ურთიერთობების განვითარებისა და წინააღმდეგობების ძირითადი პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები; მუშაობის დაგეგმვა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში; მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით — სკკპ წევრობა, თეორია, პრაქტიკა, პრობლემები; პარტიული კრებების და პარტიული ბიუროს სხდომების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა; პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმის წარმოება; შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ძირითადი მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე; სიახლენი კანონმდებლობაში; სკკპ ისტორიული გამოცდილება: ტრადიციები და თანამედროვეობა და სხვა.

ჩატარდა პრაქტიკული მეცადინეობები და დასკვნითი სემინარი გამოცდილების გაზიარების მიზნით.

სემინარის დასკვნით დღეს ჩვენ შევხვდით მის ზოგიერთ მონაწილეს და ვთხოვეთ თავიანთი აზრი გაეზიარებინათ სემინარის მუშაობის და მისი პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ:

**— ვფიქრობ, რომ მსგავსი სემინარები აუცილებელია ყველა პარტიულისათვის და, რა თქმა უნდა, პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის. სემინარმა კიდევ ერთხელ, მაგრამ უფრო თვალნათლივ დაგვანახა, რომ ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ საჯაროდ, უფრო მეტი დემოკრატიის გზით.**

**აქედან გამომდინარე ვეცდები კიდევ უფრო ავამაღლო პარტორგანიზაციის როლი ქვეგანყოფილების წინაშე მდგარი ყველა საპირბოროტო საკითხის მოგვარებაში, უფრო საფუძვლიანად გავერკვევი ადმინისტრაციის საქმიანობაში.**

**გ. ვაჩარაძე,**
ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის შს განყოფილების 1 ქვეგანყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მილიციის მაიორი.

**— სემინარი აქტუალურ საკითხებზე ტარდებოდა, მაღალ დონეზე და ამდენად გარკვეული ზეგავლენა იქონია ჩვენს შემეცნებაზე. მან კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარ-**

(დასასრული მე-2 გვ-ზე).



**სურათებზე:** ლექციის დროს; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული კურსების პარტიული მშენებლობის კათედრის ლექტორი ა. ბრეგაძე ლექციებს შორის შესვენების დროს ესაუბრება სემინარის მონაწილეთა ერთ ჯგუფს.

**გ. მგალობლიშვილის ფოტოები.**



# ПРИНИМАТЬ МЕРЫ СВОЕВРЕМЕННО

**ВОЗРОСШЕЙ** активностью коммунистов отличалась прошедшая в прошлом году отчетно-выборная кампания в партийных организациях системы МВД ГССР. Об этом, в частности, свидетельствует и значительно большее, чем в прошлом, количество критических замечаний и предложений, высказанных коммунистами на партийных собраниях своих коллективов.

Более одной трети из четырех тысяч высказанных критических замечаний и предложений касались проблем оперативно-служебной деятельности, улучшения ее партийно-политического обеспечения.

Замечания и предложения, высказанные в адрес служб центрального аппарата МВД ГССР систематизированы политотделом министерства и направлены их руководителям. Многие из них касались деятельности ХОЗО — 34, УК — 32, УИД — 15, УВО — 13, УГАИ — 10.

Изучение состояния реагирования на данные замечания и предложения показало, что около 30 процентов из них реализованы, более 50 находятся в стадии разрешения. Так, например, введено по одной штатной единице на должность инспектора дорожно-патрульной службы в Маяковском и Зестафонском РОВД, полностью укомплектована автотранспортом служба ГАИ Гардабанского РОВД, в IV квартале прошлого года дополнительно по 2 тонны бензина выделено Цхинвальскому ГОВД, Богдановскому и Ахалцихскому РОВД, новый автомобиль для спецперевозки заключенных передан Зугдидскому РОВД, заполнены все вакантные должности в Цагерском РОВД и УЦ УПО МВД ГССР, добавлено 10 штатных единиц контролерского состава в одном из подразделений УИД МВД ГССР.

В настоящее время решаются вопросы выделения путевок в дома отдыха для сотрудников УГАИ МВД республики, оборудования дежурной части и ИВС Лентехского РОВД необходимой мебелью и инвентарем и некоторые другие. В целях изолирования осужденных наркоманов от общей массы заключенных в УИ 123/34 в августе 1989 года войдет в эксплуатацию специальное учреждение.

Вместе с тем изучение содержания некоторых критических замечаний и предложений показало, что коммунистам на собраниях не всегда ставились объективные вопросы. Так, значительная часть критических замечаний в адрес Управления кадров МВД ГССР — 17 из 32 — следствие неосведомленности об истинных причинах тех или иных недостатков. Необоснована претензия секретаря парторганизации Зугдидского РОВД старшего оперуполномоченного БХСС капитана милиции О. Пипия в адрес УК о затягивании перемещения по службе инспектора ИДН капитана милиции Г. Читанава. На деле этому помешала неисполнительность руководства райотдела, не обеспечившего своевременное представление служебной аттестации. Нарекания по поводу якобы имевшей место волокиты с увольнением сотрудников Д. Чаргейшвили и Д. Сагарадзе в ОВО при Цулукидзевском РОВД и Т. Цинцадзе в Ланчхутском РОВД также лишены оснований.

Приведенные примеры указывают на то, что руководители, секретари парторганизаций отдельных ГОРОВД не разъясняют коммунистам истинных причин имеющихся проблем, снимают с себя ответственность за те или иные недостатки и взваливают их на вышестоящие органы.

С учетом изложенных недостатков зональными сотрудниками политотдела министерства усилен контроль и спрос с политработников и руководителей курируемых служб за принятие надлежащих мер по реализации критических замечаний и предложений. Приняты меры по расширению гласности о проводимой в данном направлении работе.

**Д. КУПРЕЙШВИЛИ,**
**старший лейтенант милиции, инструктор отделения организационно - партийной работы политотдела МВД ГССР.**

# ჯერი პრაქტიკულ გარდაქმნაზეა

(დასასრული).

დაქმნის, დემოკრატიის და საჯაროობის პროცესი მიზნობრივია, რომ ეს პროცესი აუცილებელია ხალხის კეთილდღეობისათვის.

ადგილზე დაბრუნების შემდეგ განყოფილებაში ამხანაგებს გავუზიარებ აქ მიღებულ შთაბეჭდილებებს, შევეცდები გავაკეთო ყველაფერი იმისათვის, რომ განყოფილებაში მყარად დამკვიდრდეს დემოკრატია და საჯაროობა.

**ჯ. ვეკუა.**

ზუგდიდის შს საქალაქო განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი.

— ერთი კვირის განმავლობაში მოვისმინეთ მრავალი ლექცია-საუბარი, ჩემი აზრით ძალიან კარგი, საინტერესო და შინაარსიანი იყო ეს ღონისძიება. ერთი სიტყვით, მან ძალიან ბევრი რამ შემძინა.

სემინარმა გაგვიღრმავა ცოდნა, დაგვანახა ის ძვრები და პერსპექტიული საკითხების გადაწყვეტის გზები, რომლებიც დასახულია სახელმწიფოში და საზოგადოებაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესში.

სემინარის პროცესში მიღებულ შთაბეჭდილებებს გავუზიარებ ჩვენი ორგანიზაციის ყველა წევრს და შევეცდები აქ მიღებული ცოდნა გამოვიყენო ჩემს, როგორც მდივნის, პრაქტიკულ საქმიანობაში.

**თ. ლოსოვი,**

ბავშვთა შრომა-აღმზრდელობითი დაწესებულების პარტორგანიზაციის მდივანი, შ/ს უფროსი ლეიტენანტი.

სემინარის მუშაობა შეაჯამა და თითოეული დანაყოფის პირველადი პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგარი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში სემინარზე მიღებული ცოდნის და მოწინავე გამოცდილების პრაქტიკულად რეალიზება უსურვა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ, მილიციის პოლკოვნიკმა ლ. გორგოძემ.

**ქ. ანდრიაძე.**

# სასწავლო ცენტრში

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა შეხვედრები რესპუბლიკის გამოჩენილ ადამიანებთან, საუბრები მათთან სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე, ლიტერატურული ნაწარმოებების, მილიციის თემაზე შექმნილი ფილმების ჩვენება და განხილვა. ამ ფოტოებზეც სწორედ ასეთი მომენტებია ასახული.

ახლახან სასწავლო ცენტრის თანამშრომლებმა შეხვედრა მოუწყვეს პროფესორ მარიკა ლორთქიფანიძეს. გაიმართა ნ. დუმბაძის ნაწარმოების „კუკარაჩას“ მიხედვით შექმნილი მხატვრული ფილმის განხილვა. შეხვედრამ მსმენელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია.





ბრძოლა გამოვუცხადოთ ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას

# თერჯოლელ მეხანძრეთა გასაჭირი

**გაიხარეს** თერჯოლელმა მეხანძრეებმა, როდესაც ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ახალი ორსართულიანი შენობა აუშენეს და სამსახურის შესრულების ნორმალური პირობები შეექმნათ, მაგრამ... რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელის „საქმიანობის“ შედეგად ჯერ იყო და მეორე სართულზე შენობის სათავსოების ნახევარზე მეტი პროკურატურამ დაიკავა და სახანძრო ნაწილის პირადი შემადგენლობა შეავიწროვეს. ასე გაგრძელდა 10 წელზე მეტი, მაგრამ მალე ესეც სანატრელი გაუხდათ... ცეკავშირმა გადაწყვიტა რესტორნის მშენებლობა. ადგილი მშენებლობისათვის სახანძრო ნაწილის შენობის უკანა ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე გამოუყვეს... ამასობაში პროკურატურა სახანძრო ნაწილიდან გადავიდა. რესტორნის მშენებლობას „ხელს უშლიდა“ სახანძრო ნაწილის შენობის მე-2 სართულზე ასასვლელი კიბე და ისიც მოუნგრიეს, მეხანძრეებს შენობის მეორე სართულზე ასასვლელი გზა მოუჭრეს. გაგრძელდა მეხანძრეთა გასაჭირი, მაგრამ მეხანძრე რა მეხანძრეა თუ მეორე სართულზე ვერ ავა და ერთხანს გასაშლელი სახანძრო კიბით ფანჯრიდან გადახტოდნენ(!) შემდეგ ხანძრის დროს განგაშზე მეორე სართულიდან გარაჟში სწრაფად. ჩამოსაცურებელი ბოძის ჭრილში კიბე მიადგეს და იქედან „ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ“, მაგრამ მოქალაქეები, რომლებიც სახანძრო დაცვაში მოდიოდნენ სამსახურის თუ პირად საქმეებზე ამ ჭრილით ხომ ვერ ავიდოდნენ?

რესტორნის მშენებლობის დამთავრების მოახლოებასთან ერთად სახანძრო ნაწილის შენობის დანგრევის საკითხიც საბოლოოდ გადაწყდა... სახანძრო ნაწილის პირადი შემადგენლობა გამოასახლეს. ერთი სახანძრო ავტომობილი ავტოსარემონტო კანტორის გარაჟში მოათავსეს, მეორე ეზოში ღია ცის ქვეშ დააყენეს, პირადი შემადგენლობა ბედის ანაბარად მიატოვეს. შეიქმნა მიმოწერები, მოლაპარაკებები, შეპირებები. ბოლოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის „დახმარებით“ სახანძრო ნაწილი „გადაასახლეს“... საბჭოთა მეურნეობის სასუქებისა და შხამქიმიკატების ყოფილი საწყობის შენობაში! მოწამვლის საშიშროების ქვეშ იმყოფება მორიგე ყარაულის პირადი შემადგენლობა, რომლებიც სადღეღამისო მორიგეობაზე იმყოფებიან, შენობაში წყალი ჩამოდის, მოწამლულია ჰაერი, არ არის გათბობა, სასმელი წყალი, სანიტარული კვანძი, შენობა ავარიულია, დასვენების პირობებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მეხანძრეები რაიონის სახალხო მეურნეობის ობიექტებს ბედის ანაბარად ხომ ვერ მიატოვებდნენ და ისინიც განაგრძობენ მუშაობას. რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე 6 წელზე მეტია მეხანძრეებს პირდება აგიშენებთ, დაგიმშვენებთ, გაგირემონტებთო, მაგრამ დრო გადის მდგომარეობა კი უცვლელი რჩება.

**ა. ნაჭყებია,**
**სახანძრო დაცვის სამმართველოს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი.**

**რედაქციისაგან:** ამ ხნის მანძილზე საქმეში ჩარეული იყო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, რომლის წარმომადგენლის დასკვნაც არსებობს. რესპუბლიკის შს სამინისტროს სამედიცინო განყოფილებისა და სახანძრო დაცვის სამმართველოს ერთობლივმა შემოწმებამ გასული წლის სექტემბერში კიდევ ერთხელ დაადასტურა აღმაშფოთებელი მდგომარეობა, რომელშიც ჩავარდნენ თერჯოლელი მეხანძრეები.

გვინდა იმედი გამოვთქვათ, რომ პარტიის თერჯოლის რაიკომი და რაიაღმასკომი ბოლოსდაბოლოს მიხედავს ამ წლობით მოუგვარებელ საკითხს.

ჩვენ კი საქმის მოსაგვარებლად გასატარებელი ან უკვე გატარებული ღონისძიებების შესახებ ვაცნობებდით მკითხველს ჩვენი გაზეთის საშუალებით, როდესაც მიღებული ზომების შესახებ რედაქციას შეატყობინებენ.

ПОД ОСТРЫМ УГЛОМ

# Запрещенный прием

**ИЛИ О ТОМ, КАК РЕШАЮТ ПРОИЗВОДСТВЕННЫЕ ПРОБЛЕМЫ ОТДЕЛЬНЫЕ РУКОВОДИТЕЛИ ИСПРАВИТЕЛЬНО-ТРУДОВЫХ УЧРЕЖДЕНИЙ РЕСПУБЛИКИ**

**СВОЕВРЕМЕННОЕ** выполнение производственных плановых заданий, четкая организация трудового процесса осужденных — вот одни из главных задач руководителей исправительно-трудовых учреждений.

Не следует, однако, при этом забывать и об установленных правилах, естественных для этой категории учреждений ограничениях, предусмотренных действующим законодательством. Пренебрежение ими, какими бы благими намерениями оно не оправдывалось, может привести к самым серьезным последствиям, о чем еще раз свидетельствует история, происшедшая недавно в УИ 123/3 УИД МВД ГССР.

А началось все с того, что Т. Мчедлишвили в декабре прошлого года посетил свою семью, проживающую в с. Анага Сигнахского района. Само по себе это событие вряд ли заслужило бы особого внимания, если бы не одно весьма любопытное обстоятельство — указанное лицо отбывает наказание за совершенное преступление. Для того, чтобы читатели могли составить более полное представление о его личности, сообщим, что Т. Мчедлишвили в 1982 году был приговорен Верховным судом республики за хищение социалистической собственности в особо крупных размерах к высшей мере наказания, замененной затем 15 годами лишения свободы.

Под амнистию Т. Мчедлишвили не попадал, и его пребывание на свободе не могло не показаться странным и не породить целый ряд вопросов — то ли срок сокращен, то ли режим отбытия наказания уж слишком мягок и позволяет совершать подобные вояжи, то ли, совсем уж экстравагантное предположение — совершен дерзкий побег, о котором к тому же ничего не известно ни руководству учреждения, ни руководству УИД МВД ГССР и министерства.

Однако дальнейшей проверкой было установлено, что ни один из вышеперечисленных вариантов не подходит, и что Т. Мчедлишвили покинул стены учреждения с разрешения начальника (теперь уже бывшего) УИ 123/3 Ф. Дзимистаршвили, решившего использовать старые связи осужденного для своевременного изъятия дебиторских задолженностей из расположенных в Цителицкаройском, Сигнахском и Телавском районах Кахетии организаций.

Вряд ли это могло существенно улучшить производственные показатели учреждения, в котором проверкой Комитета народного контроля республики в прошлом году были выявлены существенные недостатки в организации трудового процесса, количестве и качестве выпускаемой продукции, выполнении плана по поставкам и т. д., о чем сообщалось на страницах нашей газеты («Иск бесхозяйственности», номер от 22 октября 1988 г.). Тем не менее решение было принято, и Т. Мчедлишвили, вместе с начальником ЧИС УИ 123/3 капитаном внутренней службы Р. Рамишвили на машине последнего отправился выполнять «задание» руководства. Уладив дела, Т. Мчедлишвили, следуя, очевидно, принципу «услуга за услугу», с разрешения Р. Рамишвили посетил свою семью.

Даже оставив в стороне моральную сторону вопроса — использование запрещенных приемов, в частности, улаживание производственных вопросов ИТУ с помощью осужденного за хищение соцсобственности, нетрудно заметить, что совершено грубое нарушение правил, предусмотренных соответствующей статьей исправительно - трудового законодательства ГССР «О порядке предоставления осужденным и лишенным свободы права передвижения без конвоя и сопровождения».

Финал этой истории печален, но вполне закономерен. За грубое нарушение правил действующего законодательства и служебного долга Ф. Дзимистаршвили и Р. Рамишвили сняты с занимаемых должностей. Все это должно еще раз послужить уроком как для них, так и для тех руководителей ИТУ, которые предпочитают не обременять себя поиском законных путей решения наболевших вопросов, пренебрегают установленными правилами и элементарной служебной этикой. Закон есть закон, и нарушать его не позволено никому, а тем более человеку, по своему служебному положению призванному его защищать. Мудрость эта стара, как мир, но забывать о ней ни в коем случае нельзя.

**А. ЛОМИДЗЕ.**

# საექსპერტო—კრიმინალისტური სამსახური გარდაქმნის გზით

**На современном этапе деятельности органов внутренних дел, в условиях ведущейся перестройки стиля и методов работы, дальнейшей демократизации процесса расследования и состязательности сторон, в судебном делопроизводстве возрастает значение результатов научно-технических и специальных криминалистических экспертиз. Надо сказать, что, понимая требования времени, руководство МВД ГССР особое внимание уделяет работе экспертно-криминалистической службы.**

**Среди предпринятых министерством шагов в этом направлении нельзя не отметить такие важные мероприятия, как структурно-организационная перестройка экспертно-криминалистической службы на местах, с созданием зональных укрупненных подразделений. В результате предпринятых мер в определенной степени поднялась эффективность экспертиз и исследований.**

**Наш корреспондент встретился с начальником ЭКО МВД ГССР, полковником милиции Д. РОСТИАШВИЛИ и попросил его ответить на несколько вопросов.**

## Решая ответственные задачи

**— ИСТЕКШИЙ 1988 год характеризовался некоторым осложнением оперативной обстановки в республике, ростом числа преступлений по линии УР и БХСС. Насколько эффективно сработали в этих условиях экспертные службы министерства?**

— Экспертно-криминалистическая служба нашего министерства по отдельным направлениям криминалистики была базовым органом МВД СССР и по итогам 1987 года вышла на второе место в стране. Среди отделений, добившихся положительных результатов, я бы выделил экспертно - криминалистическое отделение МВД Аджарской АССР, УВД города Кутаиси, ГОВД Рустави и РОВД Гурджаани. На этом фоне отмечу слабую работу экспертов ГОВД Зугдиди, Ахалцихского, Мцхетского РОВД.

Однако за истекший год сотрудники экспертно-криминалистических подразделений республики приняли участие в осмотре мест происшествий лишь 46,3 процента от зарегистрированного числа неочевидных преступлений. Неблагополучное положение в деле организации осмотра мест происшествий, сложившееся в органах внутренних дел республики, не смогло компенсироваться относительно заметным ростом эффективности осмотров, где показатель по итогам прошлого года достиг 92 процентов, против 88,5 процента в 1987 году.

Результатом всего этого и стало снижение в 1988 году до 79,2 процента общего показателя эффективности экспертиз.



**— Чем обусловлено то, что количественные показатели 1988 года по ряду направлений экспертно-криминалистической деятельности оказались ниже достигнутых по итогам 1987 года?**

— В первую очередь, это объясняется кадровым составом криминалистических подразделений в звене горрайорганов, структурной реорганизацией следственных аппаратов на местах.

В результате в 1988 году по сравнению с предыдущим экспертами криминалистической службы республики было проведено почти на 500 единиц меньше выполненных исследований. В этом сказалась недооценка руководителями горрайорганов важности и неотложности проведения квалифицированного осмотра мест происшествий, несвоевременное и недостаточное поступление дактилоскопических данных лиц, которые находятся на учете в ГОРОВД республики.

Осложнила положение и существующая порочная практика укрытия преступлений от учета, что отрицательно сказалось, в частности, на работе экспертных служб в УВД города Тбилиси.

**— Дорио Георгиевич, на недавнем заседании партийного комитета МВД ГССР Вам было поручено добиться ликвидации, сложившейся диспропорции между организаторскими функциями и практической деятельностью отдела, проявлять максимальную заботу в вопросах обучения личного состава с учетом современных требований к работникам службы.**

— В практической деятельности сотрудники центрального аппарата ЭКО МВД ГССР добились неплохих результатов, но в то же время явно недостаточно их организаторское влияние на работу экспертно-криминалистических служб на местах. Одна из причин этого явления — малочисленный состав отдела.

В 1988 году отдел находился в стадии реорганизации, были открыты отделения во многих регионах республики, которые надо было укомплектовать квалифицированными кадрами.

С этой целью в нынешнем году, к примеру, трех сотрудников мы отправили на переподготовку в Волгоградскую высшую следственную школу, четырех — в Московскую высшую школу милиции МВД СССР.

**— Какие проблемы предстоит решить для совершенствования работы службы?**

— Серьезные проблемы имеются у нас с техническим оснащением, которое имеет первостепенное значение. Нехватает аппаратуры для специальных химических лабораторий, нет необходимых физических приборов, средств металлографического исследования, рентгеноструктурного анализа и др. Их отсутствие связано с тем, что наша отечественная промышленность выпускает их в недостаточном количестве. Еще одной проблемой является закрепление кадров. Надеемся, что они будут решены в ближайшее время благодаря вступлению в силу февральского приказа МВД СССР, в соответствии с которым наш отдел приравнивается к оперативным отделам министерства, что создаст условия для повышения эффективности деятельности криминалистов в деле предупреждения и раскрытия преступлений.

Беседу вел
**А. МАЛАЯНЦ.**

მოწინავე გამოცდილება

## წარმატებების „საიდუმლო"...

**აჭარის** შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტური განყოფილება რამდენიმე წლის განმავლობაში ჭილდოვდება გარდამავალი დროშით, როგორც რესპუბლიკის შს სამინისტროს ამ სამსახურებს შორის საუკეთესო განყოფილება.



ჩვენ შევხვდით განყოფილების უფროსს, მილიციის პოდპოლკოვნიკ ა. ტონოიანს და ვკითხეთ თუ რაში გამოიხატება მათი წარმატებების „საიდუმლო".

— ჩვენი განყოფილების თანამშრომლები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას, — გვეუბნება ა. ტონოიანი, — უფროსი ექსპერტ-კრიმინალისტი, მილიციის კაპიტანი ზ. სიორიძე, უფროსი ექსპერტ-ქიმიკოსი, მილიციის კაპიტანი ე. სუვოროვა, ექსპერტ-კრიმინალისტები, მილიციის უფროსი ლეიტენანტები: ე. ანტონიადი და მ. გუსოევა, სპეციალური ტექნიკის ინჟინერი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ი. ბუგორსკი, აი ისინი, ვინც იბრძვის იმისათვის, რომ ეკონომიურად გამოიყენონ ყოველი წუთი, გაუფრთხილდნენ დასტილოფირის თითოეულ ნაჭერს. ვცდილობთ უმოკლეს ვადაში შევასრულოთ რთული და შრომატევადი ექსპერტიზები და გამოკვლევები.

ექსპერტიზის მასალების პირველად დამუშავებას ვაწარმოებ ე. ანტონიადისთან ერთად. შემდეგ ახალგაზრდა თანამშრომელი აწარმოებს საქმის გამოკვლევას და ბეჭდავს დასკვნას. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თითოეულმა ჩვენმა მუშაკმა იცის მანქანაზე ბეჭდვა. ექსპერტიზის მასალების ფოტოგრაფირებას იქვე აწარმოებს სხვა სპეციალისტი. ამრიგად, 10 დღის ნაცვლად ექსპერტიზის ჩასატარებლად ჩვენ გვჭირდება 2-3 დღე. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სამუშაო უხარისხოდ სრულდება. პირიქით, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ექსპერტიზების რეცენზირების შედეგად ჩვენი ექსპერტიზები საუკეთესოდ აღიარეს. დიდ სამუშაოს ეწევიან განყოფილების თანამშრომლები დანაშაულობათა პროფილაქტიკის საქმეში. მილიციის მუშაკებს აცნობენ საექსპერტო საქმის სპეციფიკურ თავისებურებებს.

განყოფილების ანგარიშზეა ასობით გახსნილი დანაშაული. განსაკუთრებით საინტერესო ექსპერტიზებისა და დანაშაულობებისათვის შემოღებული გვაქვს სპეციალური დღიური, სადაც ფიქსირდება ექსპერტების მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ამჟამად განყოფილება ატარებს ექსპერიმენტს სახეების სლაიდური ფოტოთეკის შესაქმნელად მათზე, ვისაც შეუძლია ჩაიდინოს ესა თუ ის დანაშაული. გათვალისწინებული გვაქვს კვლავაც ეფექტურად გამოვიყენოთ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ესაუბრა ა. მალაციძე.

* * *

**სურათზე:** ა. ტონოიანი; ე. ანტონიადი და ზ. სიორიძე თითების ანაბეჭდების შედარებისას.





**აბერ** უკვე 20 წელზე მეტია, რაც საქ. სსრ შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტური განყოფილების ექსპერტ-ქიმიკოსი მზია ხარაძე ამ განყოფილებაში მუშაობს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მან მტკიცედ აირჩია ექსპერტის რთული და საინტერესო პროფესია.

მზია ხარაძის კეთილსინდისიერი შრომა დაფასებულიცაა — მას 50-ზე მეტი წახალისება და სამივე ხარისხის მედალი „უმწიკვლო სამსახურისათვის" აქვს მიღებული.

**ЭКСПЕРТНО** - криминалистическая служба МВД республики играет большую роль в борьбе с преступностью. В современных условиях проведение предварительного расследования немыслимо без всестороннего использования всех возможностей криминалистики, экспертного анализа, основанного на широком применении последних достижений науки и техники.,

Наряду с юристами - криминалистами в службе трудятся специалисты различных профессий — инженеры, биологи, физики химики, механики и другие, которые, используя современные методы исследования вещественных доказательств, оказывают большую помощь в установлении истины.

Работа экспертов часто дает возможность определить, и то, каким линиям криминалистики дать в определенный момент приоритетное развитие. Так, например, когда в республике начало складываться неблагополучное положение с распространением пожаров, немедленно был поставлен вопрос о создании при ЭКО МВД ГССР пожарно - технической лаборатории, которая могла бы четко отвечать на важнейшие для предварительного следствия вопросы о причине пожара, очаге возникновения, скорости распространения, наличии или отсутствии горюче - смазочных материалов, используемых при поджогах и т. д. Вот один из наиболее характерных примеров четкой работы экспертов и их успешного взаимодействия с сотрудниками следственных аппаратов.

ИЗ СЛЕДСТВЕННОЙ ПРАКТИКИ

## И ПОДЖОГ НЕ ПОМОГ...

Года два назад на Кутаисском складе канцелярских принадлежностей городского управления торговли возник пожар, уничтоживший большое количество товаров. Долгое время его причину установить не удавалось. Проведенная экспертами химической лаборатории ЭКО МВД ГССР капитанами милиции Л. Абакумовой и М. Хазарадзе и экспертом пожарно-технической лаборатории отдела, капитаном милиции Г. Тетрадзе работа по исследованию большой территории склада (100х50 метров) позволила определить , что пожар возник не по причине возгорания электропроводки или каких - либо легковоспламеняющихся материалов. Улик, свидетельствующих о преступлении, практически не было, но тем не менее экспертам удалось выявить определенное несоответствие — хранившиеся на складе магнифонные кассеты японского производства отсутствовали, хотя ящики, в которых они хранились, частично уцелели. Утверждение заведующего складом, что кассеты, видимо, сгорели при пожаре, было опровергнуто тем, что пленка кассет, в отличии от их корпусов, не горит.

«К работе экспертов и следственной группы были подключены вызванные из столицы республики сотрудники БХСС, — вспоминает руководивший расследованием заместитель начальника следственной части СУ МВД ГССР, заслуженный юрист Грузинской ССР, полковник милиции Г. Нанеишвили, — благодаря совместным усилиям было установлено, что в результате сговора между завскладом и несколькими рабочими, кассеты были вывезены со склада и реализованы в нескольких магазинах города Кутаиси».

Впоследствии была установлена сумма от хищения госимущества — 274 тысячи рублей, все 11 привлеченных к уголовной ответственности преступников, совершивших хищение госимущества и организовавших поджог для сокрытия следов преступления, признали себя виновными и понесли заслуженное наказание.

**А. ЦАТУРОВ.**

# «Мравалжамиер», Паата и Ирма!

**ВЕСНА**, весна... Ее недаром называют порой обновления, порой любви и надежд. Все в это время года выглядит как-то празднично, пьянит аромат цветов, радует глаз пробуждающаяся природа. Не случайно и свадебные церемонии, которых так много в это время года, проходят особенно весело и жизнерадостно.

Так было и в погожий весенний день 25 марта — день, когда навсегда связали свои судьбы работница завода им. С. М. Кирова Ирма Таниашвили и слушатель I курса Тбилисского факультета МВШМ МВД СССР Хвича Патаридзе. Поздравить молодых в этот самый счастливый день их жизни пришли в Тбилисский Дворец торжеств их родные и близкие, сослуживцы, руководящие работники МВД ГССР во главе с министром, генерал-лейтенантом внутренней службы Ш. Горгодзе, военный комиссар республики генерал - лейтенант Л. Шарашенидзе, руководители ТФМВШМ МВД СССР, представители партийных и комсомольских органов республики, ее столицы.

...Прозвенел колокол, и двое молодых людей, выглядевших в этот день особенно нарядно, в сопровождении гостей вышли из Дворца торжеств и... попали на праздничное театрализованное представление, развернувшееся тут же, на ступеньках дворца. Новобрачные по старинному обычаю прошли мимо одетых в национальную одежду людей, под звон скрещенных над их головами клинков. Играла музыка, исполнялись грузинские народные танцы, в которых, осыпаемые дождем из цветов, приняли участие и сами новобрачные. А затем они, усевшись в старинный, романтический фаэтон, в сопровождении всех участников торжества, почетного эскорта конной милиции направились к городскому молодежному клубу «Амирани»...

Многое, наверное, вспомнилось молодым в эти волнующие и трогательные минуты. Короткую еще биографию Хвичи Патаридзе можно уместить в несколько строк, но за ними столько трудностей, сколько не выпадает порой человеку за всю жизнь. Хвича рано потерял родителей. Свой воинский долг он с честью выполнял на афганской земле, был несколько раз ранен. Подтверждением его достойного служения Родине и выполнения воинской присяги — украшающие его парадный милицейский мундир две медали «От афганского народа» и медаль «За отвагу».



...Непринужденная и веселая обстановка царила в этот день в принимавшем новобрачных клубе «Амирани». Со словами приветствия, добрыми напутствиями и пожеланиями к молодым обратились ведущий вечера народный артист республики Б. Ципурия, начальник ТФМВШМ МВД СССР генерал - майор милиции Г. Кванталиани, вручивший Паате и Ирме символический ключ от выделенной им новой квартиры, первый секретарь Ленинского РК ЛКСМ г. Тбилиси Н. Капанадзе, первый секретарь Кировского РК ЛКСМ столицы республики М. Кватадзе, депутат Верховного Совета ГССР слушатель III курса ТФМВШМ МВД СССР Г. Нозадзе и другие. А заведующий отделом Тбилисского городского комитета ЛКСМ Грузии А. Чачанидзе передал «виновникам торжества» путевки в международный туристический лагерь.

Как-то незаметно пролетело время, праздничный вечер подошел к концу. Гости расстались друг с другом под звуки «Мравалжамиер», и наверняка у всех надолго останется в памяти эта полная радости и улыбок встреча. Пусть же этот самый главный, самый радостный день в жизни Пааты и Ирмы станет для них началом счастливого, безоблачного и бесконечно долгого пути...

Пусть не гаснут звезды никогда
На вашем жизненном пути.
Счастья, радости на долгие года
Мы желаем вам обрести.

**Л. СИЧИНАВА,**
слушатель III курса
ТФМВШМ МВД СССР.

**ანასტას** ალექსანდრიდის ბინაში ცოლმა ევგენია სტოლიაროვამ დაათვალიერებინა მილიციის მუშაკებს კარადა და ქმრის პირადი ნივთები. დათვალიერებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თვითნაკეთი ფინური დანისა და კასტეტის ამოღებამ საფუძველი მისცათ დეტალური ჩხრეკა ჩაეტარებინათ, მაგიდის უჯრაში „ვალტერის" სისტემის პისტოლეტის 2 საბრძოლო ვაზნა აღმოჩნდა, ხოლო სარდაფში სხვადასხვა ნაქურდალი ტანსაცმელი და ათობით საათი.

შეკითხვაზე, თუ სად არის ქმარი ისევ სიწყნარემ დაისადგურა, არავის არ მიუქცევია ყურადღება, რომ ბოლო ვაგონიდან ორი კაცი ჩამოხტა, უფრო სწორად ერთმა ჩამოიყვანა მეორე. დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევდა მათ გაფითრებულ სახეებს, დაჭმუჭნულ ტანსაცმელს და უზომო სიფრთხილეს, მაგრამ დილის ბინდ-ბუნდში ვის ეცალა მათი დაკვირვებისათვის.

მაღალმა ქერა ახალგაზრდამ თითქმის მხარზე აკიდებული მიიყვანა მომცრო ტანის შავგვრემანი ახალგაზრდა ბაქანზე მდგარ მერხთან და საზურგეზე მიასვენა, გვერდით

**ბ. აბულაძე**

## დამნაშავის სისხლიან კვალზე

### (დოკუმენტური მოთხრობა)

ქალმა უპასუხა, რომ 4 ივნისს წავიდა სამუშაოდ პირველ ცვლაში და ჯერაც არ დაბრუნებულაო.

— ნაქურდალი ნივთები ამოვიღოთ, ქალი მილიციაში წავიყვანოთ და შემდგომი მუშაობა იქ გავაგრძელოთ, ვნახოთ რა ინფორმაცია შემოვიდა ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, — შესთავაზა სიმონმა.

— დიახ, მართლაც საჭიროა დაბრუნება, — უპასუხა ვარლამმა, — დაკავებული დობორჯგინიძე ალბათ ჩვენს დაბრუნებას მუთმენლად ელის, რადგან საკმაო დრო ჰქონდა მოსაფიქრებლად. საჭიროა მასაც მოვუსმინოთ და შემდეგ ავწონ-დავწონოთ ყველაფერი. მე მგონია ჯერჯერობით სწორ კვალზე ვდგევართ, ოღონდ საჭიროა მეტი ოპერატიულობა. აბა წავიდეთ.

### უცნობი მგზავრი

**ზღვის** მოლივლივე ტალღები ქვიშიან ნაპირს ელერსება, წყნარი ზღვაური მაგნოლიის ფოთლებს აშრიალებს, ბულბულის ნაზი სტვენა თანდათან მინელდა და სხვა ფრინველთა ორკესტრს დაუთმო ასპარეზი, ადრიანმა აისმა შეაფერადა მახინჯაურის ცა.

შორს გაისმა მატარებლის შეკივლება, მგზავრები ამოძრავდნენ და ხელბარგით ბაქანზე ჩამწკრივდნენ, შეიქმნა გაძახილ-გამოძახილი და დამშვიდობება.

მატარებელი გაჩერდა, ვაგონებიდან მგზავრებმა იწყეს ჩამოსვლა, ხოლო წამსვლელები ვაგონების კიბეებს მიაწყდნენ.

მატარებელი რომ გავიდა ბაქანზე მჯდომ მგზავრებს — უშველეთ ცუდად გახდაო — მიაძახა და დილის ბინდში გაუჩინარდა.

მგზავრებმა ყურადღება მიაქციეს ახალგაზრდას, ტანსაცმელი სისხლით ჰქონდა დალაქავებული, თავი ჩაექინდრა.

— მგონი დაჭრილია, — თქვა ვიღაცამ.

— მგონი კი არა სისხლისაგან დაცლილა, ვერ ხედავ სახეზე რა ფერი ადევს? — გაეპასუხა მეორე.

— ვაი, გამწარებული დედამისის ბრალი! — შეიცხადა ხნიერმა დედაკაცმა და გვერდით მდგომებს მიუბრუნდა.

— წადით, ვინმეს შეატყობინეთ, საავადმყოფოშია მაგი სასწრაფოდ წასაყვანი.

ხალხის ჩოჩქოლზე და ყაყანზე სადგურის მილიციის მუშაკიც გამოჩნდა, დაჭრილ ახალგაზრდას ხალხი შემოაცალა და დახმარების აღმოსაჩენად სადგურის პუნქტში წაიყვანა.

დაჭრილი უგონოდ იყო, არავითარი საბუთი არ აღმოაჩნდა.

— ვინ არის? საიდან მოხვდა აქ? ვინ დაჭრა?.. ეს კითხვები უტრიალებდა თავში რკინიგზის მილიციის მუშაკს.

დრო აღარ ითმენდა, საჭირო იყო უცნობი მგზავრის საავადმყოფოში სასწრაფოდ გადაყვანა. მან ყურმილი აიღო და ბათუმის მილიციის უფროსს დიმიტრი მაღრაძეს დაუკავშირდა.

მალე სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანას ბათუმისაკენ მიჰყავდა დაჭრილი.

(დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი". № 10-11-12-13).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

## საზრიანთა კლუბი

**ჩვენი** გაზეთის 25 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული იყო მოკლე დეტექტიური ჩანახატი „შემთხვევის ადგილისაკენ". მასში დასმულ კითხვაზე მივიღეთ განსაკუთრებით ბევრი პასუხი, რომელთა უმეტესობაც სწორი იყო. გთავაზობთ სწორ პასუხს:

შემთხვევის ადგილამდე 9 კილომეტრია. ერთი კილომეტრის გავლის შემდეგ დარჩებოდა 8 კილომეტრი. დარჩენილი გზის ნახევარი იქნებოდა 4 კმ, გასავლელი დარჩებოდა მთელი გზის ერთი მესამედი ე. ი. 3 კმ და 1 კმ. შესაბამისად ვარნიკემ მძღოლს 9 მარკა გადაუხადა.

აი ბოლო დღეებში მიღებული საზრიანი მკითხველების სიაც:

გორის შს რაიგანყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელი, მილიციის მაიორი ო. ბრეგვაძე, ზუგდიდის შს რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის უფროსი უბნის ინსპექტორი, მილიციის მაიორი ნ. ჯანაშია, ყაზბეგის რაიონის სოფ. გორისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ავსაჯანიშვილი, რუსთაველი ნ. აფხაზავა, ზნაურელი რ. თხელიძე, თიანელი ი. გამახარეშვილი, შუახეველი ე. ფუტკარაძე, ბორჯომელი ე. დევიძე, კ. პატარავა.

КАЛЕИДОСКОП

## УРОК ДЛЯ «ШУТНИКА»

**В СУММУ с многими нулями обойдется 32-летнему жителю датского города Раннерс звонок в копенгагенский аэропорт Каструп, в котором он заявил о наличии на борту готовившегося к вылету самолета датской авиакомпании САС бомбы. Полиции удалось быстро определить местонахождение «телефонного террориста» и задержать его. На допросе он признался в том, что эта была лишь... «невинная шутка». «Шутник» был освобожден, однако теперь его ожидает судебное разбирательство. Он обвиняется по статье «задержка общественных транспортных средств», которая предусматривает наказание сроком до четырех лет тюремного заключения. Одновременно ему будет предъявлен иск на компенсацию убытков авиакомпании САС.**

## ПОЖАР У ПОЖАРНЫХ

**В РОЖДЕСТВЕНСКИЕ праздники американским пожарным всегда прибавляется работы: традиционные свечи на елках, электрические гирлянды, бенгальские огни часто становятся причиной возгорания жилых домов и общественных зданий. Но явно не совладели с нервами «огнеборцы», из маленького флоридского городка Хэллэндейла. Бросившись в рождественский вечер по очередному вызову, они в спешке оставили в помещении пожарной станции невыключенной конфорку, на которой подогревался их праздничный ужин. Последствия забывчивости оказались плачевными. Вскипевшее масло выплеснулось на пол и послужило причиной пожара, который нанес станции ущерб, оцененный в 10 тысяч долларов.**

# ПОБЕДИЛА ПОЛИЦЕЙСКИХ

**ЗОЛОТОЙ МЕДАЛИ ЧЕМПИОНАТА МИРА ПО ПОЛИЦЕЙСКОМУ МНОГОБОРЬЮ УДОСТОЕНА МИЛИЦИОНЕР ИЗ ЭНГЕЛЬСА ИРИНА МОЖАРОВА**

Товарищи по службе в Саратовском управлении внутренних дел встретили Ирину цветами. Она только что вернулась из Италии, где участвовала в этом необычном первенстве мира и победила в легкоатлетическом кроссе.

Ясно, что людям, охраняющим общественный порядок, необходима как физическая, так и профессиональная подготовка. Вот уже в 48-й раз полицейские 50 стран собрались на свой чемпионат, программа которого включает кросс, лыжные гонки, биатлон, стрельбу из пистолета. Команда советских милиционеров насчитывала 18 человек и выступила во всех видах программы.

Ирина служит в подразделении вневедомственной охраны города Энгельса. Она рассказывает:

— Кросс сложился для меня удачно. Второе место на пятикилометровой дистанции заняла представительница полиции США, третье — спортсменка из Италии. А в общекомандном зачете, по результатам мужчин и женщин, нам досталось «серебро», а «золото» — у итальянской команды.

Успех Ирины закономерен, если учесть, что легкой атлетикой она увлекается с 14 лет. Неоднократно побеждала в первенствах спортобщества «Динамо» в беге на дистанции от 3 до 15 километров. Интересно, что легкая атлетика, как и служба в милиции, для Ирины — своеобразная семейная традиция. Ее муж Сергей Можаров — тоже сотрудник органов внутренних дел и тоже мастер спорта. У них растет шестилетний сын Коля, и можно надеяться, что он не останется равнодушным к физкультуре.

ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72;
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კოზალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 00284